ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის სტანდარტული პირობები
ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #2

1. **ტერმინთა განმარტება**

1.1. **მზღვეველი** _ სს „ბბ დაზღვევა“, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას (საიდენტიფიკაციო #406232214);

1.2. **დამზღვევი** - ფიზიკური პირი, რომელიც აფორმებს ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან;

1.3. **დაზღვევის ობიექტი** - სადაზღვევო პოლისში ან/და მის დანართში მითითებულ, დამზღვევის კანონიერ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ ქონებასა ან/და მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული ქონებრივი ინტერესები, რომელიც დაკავშირებულია ამ ქონების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან;

1.4. **მოსარგებლე** _ პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.5. **ხელშეკრულება** - დაზღვევის ხელშეკრულების და მისი დანართ(ებ)ის პირობების და სადაზღვევო პოლისის ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას და რომელიც ფორმდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

1.6. **დაზღვევის პირობები** - დაზღვევის ხელშეკრულებაში და მის დანართებში მითითებული პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის პირობებსა და მისი განხორციელების წესებს;

1.7. **სადაზღვევო დაფარვა** - დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევები, რომელთა დადგომისას მზღვეველი ვალდებულია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

1.8. **დაზღვევის განაცხადი** - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი, რომელშიც მითითებულია ყველა არსებითი ინფორმაცია, რაც საჭიროა კონკრეტული ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის მიზნებისთვის და რომელიც წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #1-ს.

1.9. **სადაზღვევო პოლისი (შემდგომში „პოლისი“)** – დოკუმენტი, რომელსაც ფლობს დამზღვევი/დაზღვეული ხელშეკრულების საფუძველზე;

1.10. **სადაზღვევო თანხა/პასუხისმგებლობის ლიმიტი** - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დადგენილია დამზღვევისთვის/მოსარგებლისათვის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.;

1.11. **შიდა მოპირკეთება** - კედლების შპალერი ან/და სხვა ტიპის საფარი, დაკიდული ჭერი, იატაკი, ფანჯრები, კარები და/ან მათი საკეტები და მინები.

1.12. **უპირობო ფრანშიზა** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანის სიდიდე მეტია ფრანშიზაზე, მზღვეველი იხდის სხვაობას ზიანის სრულ ოდენობასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი არ აღემატება სადაზღვევო თანხას) ან სადაზღვევო თანხასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი აღემატება სადაზღვევო თანხას).

1.13. **აგრეგირებული ლიმიტი** - ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ გასაცემი ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს ხელშეკრულებაში მითითებული ყველა ან რომელიმე სადაზღვევო დაფარვისთვის.

1.14. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, ქონება ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს წინამდებარე პირობების საფუძველზე;

1.15. **სადაზღვევო პრემია** - თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება. პრემიის ოდენობა განისაზღვრება ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის შესაბამისი პოლისით;

1.16. **სადაზღვევო ტარიფი** - სადაზღვევო პრემიის სიდიდე გამოხატული პროცენტულად სადაზღვევო თანხიდან. სადაზღვევო ტარიფი დამოკიდებულია დაზღვევის კონკრეტული ობიექტის მახასიათებლებზე, რისკებსა და სხვა შესაბამის ფაქტორებზე;

1.17. **სადაზღვევო შემთხვევა** – ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევა, რომლის სადაზღვევო პერიოდში დადგომისას წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და რომელიც აღიარებულია მზღვეველის მიერ შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით;

1.18. **სადაზღვევო რისკი** – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. სადაზღვევო რისკები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით (ხელშეკრულებით);

1.19. **სადაზღვევო ღირებულება** - ქონების რეალური ღირებულება, რომელიც გამოითვლება წინამდებარე პირობების მიხედვით და რომელიც გამოიყენება სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდის დასადგენად.

1.20. **აღდგენითი ღირებულება** - ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა დაზიანებული ქონების სრულად აღსადგენად, აღდგენითი სამუშაოებისა და მასალების/სათადარიგო ნაწილების ღირებულების ჩათვლით.

1.21. **შენაცვლებითი ღირებულება** – რეალური საბაზრო ღირებულება ქონების ასაკისა და მდგომარეობის გათვალისწინებით.

1.22. **საერთო სადაზღვევო პერიოდი** - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ხელშეკრულება ძალაშია;

1.23. **ფორს-მაჟორი** - ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური ან სხვა შესაბამისი გარემოება, რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარე(ებ)ს არ შეუძლიათ და რომელიც მხარე(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებას შეუძლებელს ხდის.

1.24. **სადაზღვევო შემთხვევის აქტი** - დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის და მზღვეველის მიერ პოლისის პირობების შესაბამისად მხარეთა ორმხრივად შეთანხმებული და ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა, მისი გაცემის ფორმა და წესი.

1.25. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის ხელშეკრულების შესაბამისი გამომუშავებული პრემია წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის შესაბამისი ჯამური სადაზღვევო პრემიის იმ ნაწილს, რა ნაწილსაც შეადგენს სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ზემოთაღნიშნულ კონკრეტულ თარიღამდე გასული დღეების რაოდენობა მთლიანი სადაზღვევო პერიოდის დღეებში გაზომილ ხანგრძლივობასთან მიმართებაში.

1.26. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის ხელშეკრულების შესაბამისი გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია

წარმოადგენს სხვაობას ხელშეკრულების მთლიანი სადაზღვევო პერიოდის შესაბამის ჯამურ სადაზღვევო პრემიასა და გამომუშავებულ სადაზღვევო პრემიას შორის.

1.27. **პრეტენზიის ფორმა** - დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ მზღვეველის მიმართ წერილობითი/ელექტრონული ფორმით გამოხატული უკმაყოფილება სადაზღვევო მომსახურების შესახებ. პრეტენზია მოიცავს, როოგრც მოთხოვნას ინფორმაციის მიწოდების/მიუწოდებლობის შესახებ, ასევე ნებისმიერ სხვა სახელშეკრულებო მოთხოვნას, რომელიც გამომდინარეობს დაზღვევის ხელშეკრულებიდან.

1.28. **საინფორმაციო ფურცელი** - სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე მომხმარებლისთვის მიწოდებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მითითებას სადაზღვევო პროდუქტის პირობების შესახებ.

1.29. **ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები** - დოკუმენტი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა დებულებას, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასში აღნიშნულია ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. დაზღვევის ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშვება მზღვეველს, დამზღვევს და მოსარგებლეს შორის ამ ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

2.2. დაზღვევის ხელშერულების და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მზღვეველი ვალდებულია, შესაბამისი სადაზღვევო პრემიის მიღების სანაცვლოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოს დამზღვევისთვის კონკრეტული დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

2.3. დაზღვევის შესახებ განაცხადი წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები:

3.1. დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია:

3.1.1. როგორც სადაზღვევო პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს მის ხელთ არსებული უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისთვის;

3.1.2. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით/ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობითა და ვადებში;

3.1.3. აცნობოს მზღვეველს დაზღვეულ ქონებასთან დაკავშირებით სხვა სადაზღვევო კომპანიაში გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ; დამზღვევის მიერ იმავე ინტერესის სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში დაზღვევა (ორმაგი დაზღვევა) უნდა შეთანხმდეს მზღვეველთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაგან, ხოლო ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 827-828-ე მუხლებით დადგენილი წესით.

3.1.4. სადაზღვევო პოლისის მისაღებად წარუდგინოს მზღვეველს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები და ინფორმაცია;

3.1.5. მიიღოს მიზანშეწონილი და გონივრული ზომები იმ მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი;

3.1.6. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ქონებისა და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის განაცხადში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ, მათ შორის, ქონების გადაადგილების, ხარისხის ან სხვა მნიშვნელოვანი პირობის შეცვლის შესახებ, ხოლო მარაგების შემთხვევაში ადგილმდებარეობის ცვლილებისა თუ მარაგების შემცირება- მომატების შესახებ.

3.1.7. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, დაზღვევის ხელშეკრულებითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი მოთხოვნები.

3.2. დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია:

3.2.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებითა (პოლისით) და ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;

3.2.2. მზღვეველთან შეთანხმებით, შეცვალოს დაზღვევის პირობები;

3.2.3. საკუთარი ხარჯით მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება იმ ორგანიზაციის მეშვეობით, რომელსაც აქვს საექსპერტო შეფასების უფლება.

3.3. მზღვეველი ვალდებულია:

3.3.1. დაზღვევის დასადასტურებლად გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

3.3.2. კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, არ გაამჟღავნოს მონაცემები დამზღვევსა (დაზღვეულსა) და მის ქონებრივ მდგომარეობაზე; მათ შორის პერსონალურ მონაცემები.

3.3.3. შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო ხელშეკრულების (პოლისის) შესაბამისად;

3.3.4. ზარალის გამომწვევი ყველა მიზეზის დადგენის, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისა და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 30 დღის ვადაში მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

3.3.5. ზარალის გამომწვევი ყველა გარემოების შესწავლისა და დადგენის შემდეგ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეატყობინოს დამზღვევს მისი მოთხოვნის შემთხვევაში (დაზღვეულს) აღნიშნული ფაქტის შესახებ წერილობით, მიზეზის მითითებით;

3.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

3.4.1. გააუქმოს სადაზღვევო პოლისი და შესთავაზოს დამზღვევს შეცვლილი პირობებით პოლისის მიღება, თუ შეიცვალა ქონების ექსპლუატაციის პირობები;

3.4.2. გააუქმოს სადაზღვევო პოლისი და ამის თაობაზე წერილობით შეატყობინოს დამზღვევს, თუ ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის განაცხადში აღნიშნული მონაცამები არ შეესაბამება სინამდვილეს;

3.4.3. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში; შევიდეს, დაათვარიელოს ის ქონება ან შენობა, სადაც დადგა ზარალი და განახორციელოს ყველანაირი ქმედება, რასაც ჩათვლის საჭიროდ ზიანის შემცირებისათვის ან დაზიანებული ქონების მდგომარეობის შესანარჩუნებლად;

3.4.4. მოითხოვოს ზარალის დადგომის დროს დაზღვეულ შენობებში არსებული ქონების გადატანა ან მათი შენახვა;

3.4.5. თუ მზღვეველი გადაწყვეტს თავად შეინახოს ასეთი ქონება, შეისწავლოს, დაახარისხოს, წესრიგში მოიყვანოს და ა.შ გაწეული ხარჯები გაიქვითება ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობიდან.

3.4.6. ზემოაღნიშნული პირობები შეიძლება განხორციელდეს მზღვეველის მიერ ნებისმიერ დროს, მანამ, სანამ დამზღვევი წერილობით არ შეატყობინებს მას, რომ დამზღვევს აღარ აქვს პრეტენზია პოლისთან დაკავშირებით ან, თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან სხვაგვარად.

3.4.7. თუ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ან მისი (მათი) სახელით მოქმედი პირი არ შეასრულებს მზღვეველის მოთხოვნებს, გაართულებს ან ხელს შეუშლის მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულებით (პოლისით) განსაზღვრული უფლებამოსილების ან მზღვეველის საქმიანობის განხორციელებაში, მზღვეველი უფლებამოსილია მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება.

3.4.8. შეადგინოს ქონების აღდგენა/შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, ხოლო დამზღვევის მიერ აღნიშნული შეფასების შედგენისას გადახედოს და დააკორექტიროს ფასები ბაზარზე არსებული ფასებიდან გამომდინარე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ექსპერტიზის ჩატარებაზე.

3.4.9. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას, რაც აუცილებელია ანაზღაურების გასაცემად;

3.4.10. მოახდინოს ანაზღაურების გადავადება იმ შემთხვევაში თუ:

ა) ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, გარემოებების და ზარალის მოცულობის შესახებ. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება ექსპერტიზისათვის საჭირო დროის პერიოდით;

ბ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დამზღვევის/დაზღვეულის ან მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებაში. სადაზღვევო ანაზღაურება არ გადაიხდება, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები;

გ) შსს (შინაგან საქმეთა) ორგანოების მიერ დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე დაზღვეულის/მოსარგებლის მიმართ _ გამოძიების დასრულებამდე;

3.4.11. მიიღოს და განიხილოს დამზღვევის განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ; ზიანის შესახებ განაცხადისა და თანდართული მასალების მიღებისას თუ მასალები არასაკმარისია და ვერ ხდება ზარალის იდენტიფიცირება ან ზარალის ოდენობის დადგენა, მოსთხოვოს დამზღვევს თავად დააზუსტოს და მოიძიოს, დაზღვეული ქონების განადგურების (დაკარგვის) ან დაზიანების გამომწვევი მიზეზების და გარემოებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

3.4.12. მიანიჭოს დამზღვევს (დაზღვეულს) შეღავათები ან/და გაათავისუფლოს იგი ვალდებულებისაგან, თუნდაც ამას არ ითვალისწინებდეს ან უგულებელყოფდეს წინამდებარე პირობები. სადაზღვევო პოლისით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა განსხვავებული ან/და დამატებითი უფლება–მოვალეობებიც.

3.4.13. მოსთხოვოს დამზღვევს დაზიანებული (განადაგურებული) ქონების შენახვა და დაცვა მისივე ხარჯით.

3.4.14. დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის გაყალბების ან გაყალბების მცდელობის გამოვლენის შემთხვევაში, თითოეული ასეთი შემთხვევის გამოვლენისას, მოთხოვოს დამზღვევს, საჯარიმო სანქციის სახით, პირველად ასეთი შემთხვევის გამოვლენისას 5,000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა, ყოველი შემდგომი შემთხვევის გამოვლენისას – 10,000 (ათი ათასი) ლარის. ამასთან, ასეთი შემთხვევების დაფიქსირებისას, მზღვეველი უფლებამოსილია, ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება და მოითხოვოს ზიანის/ზარალის ანაზღაურება;

3.4.15. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ (ან დამზღვევის უფებამოსილი წარმომადგენლის/დაზღვეულის მონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტ(ებ)ის გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ამასთან, ყოველი ასეთი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, საჯარიმო სანქციის სახით, მოთხოვოს დაზღვეულს 10,000.00 (ათი ათასი) ლარის გადახდა და ამავდროულად შეუწყვიტოს დაზღვევა, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია

პირგასამტეხლოს სახით მოითხოვოს 5,000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა, პირგასამტეხლოს მოთხოვნა არ ართმევს მზღვეველს უფლებას მოითხოვოს ზიანის/ზარალის ანაზღაურება;

3.4.16. არ აანაზღაუროს ისეთი შემთხვევებით გამოწვეული ხარჯები, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული დაზღვევის პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;

3.4.17. დამზღვევის მიერ სადაზღვეო პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს დამზღვევისგან, როგორც სადაზღვევო პრემია სრულად, ასევე, პირგასამტეხლო/ჯარიმა და მიუღებელი შემოსავალი.

4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ მესამე პირთა მიმართ უფლებების გადმოსვლა (რეგრესი). ორმაგი დაზღვევა. არასრული დაზღვევა. გადაჭარბებული დაზღვევა

4.1. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის (ზარალის ანაზღაურების) შემდეგ გადახდილი თანხების ფარგლებში მზღვეველზე გადმოდის მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს/დაზღვეულს აქვს/ექნება ზარალზე პასუხისმგებელ მესამე პირთა მიმართ. ასეთ შემთხვევაში დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია სრულად ითანამშრომლოს მზღვეველთან ამ უფლების გადმოსაცემად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე და მოითხოვოს ზარალის სახით გადახდილი თანხების უკან დაბრუნება. დამზღვევი ვალდებულია ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს მზღვეველს მის მიერ მოთხოვნილი თანხა.

4.2. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია წერილობით შეაატყობინოს მზღვეველს ყველა სხვა სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დადებულია დაზღვეულ ქონებაზე სხვა სადაზღვევო კომპანიებთან. ამასთან, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია მიუთითოს სხვა სადაზღვევო კომპანიების სახელწოდება, მათთან დაზღვეული ქონება, სადაზღვევო რისკები და სადაზღვევო თანხების სიდიდე; თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტში დაზღვეულ ქონებაზე მოქმედებდა სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებაც ანალოგიურ რისკებზე, მაშინ მზღვეველი გადაიხდის მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხასა და ყველა სადაზღვევო ხელშეკრულების საერთო თანხას შორის პროპორციულ თანხას.

4.3. თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის (შემცირებული ან არასრული დაზღვევა), მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების პროპორციულობის მეთოდის შესაბამისად ანუ ანაზღაურება გაიცემა იმ პროპორციით რა პროპორციაშიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვევის მომენტისთვის დაზღვეული ქონების სადაზღვევო/საბაზრო ღირებულებასთან მიმართებაში. ფრანშიზა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის გამოყენების შემდეგ.

4.4. თუ სადაზღვევო თანხა აღემატება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს სადაზღვევო ღირებულებას, მზღვეველი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ნამეტი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ქონება დაზღვეული იყო გაზრდილ თანხაზე უკანონო გამდიდრების მიზნით, მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან სრულად.

5. სადაზღვევო თანხები, სადაზღვევო პრემია, ფრანშიზა

5.1. წლიური სადაზღვევო ტარიფი, პრემია და ფრანშიზა დაზღვეული ქონებისათვის განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით; ზარალის სიდიდისა და სადაზღვევო პერიოდის მიუხედავად, მზღვეველის პასუხისმგებლობა არ აღემატება:
ა) დაზღვეული ნივთების ღირებულების ჯამს, რაც მოცემულია დაზღვევის პოლისში ან მთლიან სადაზღვევო თანხას;
ბ) სადაზღვევო პოლისში მითითებული ნებისმიერი პასუხისმგებლობის ლიმიტს;
გ) ან სხვა თანხებს, რომლებიც შეიძლება დანართის სახით თან დაერთოს, მხარეთა მიერ ხელმოწერილ დაზღვევის შესაბამის პოლისს.
დ) მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი სადაზღვევო პოლისში მითითებულ ფრანშიზის ოდენობაზე.
5.2. სადაზღვევო პრემია ანგარიშდება მზღვეველის მიერ დაზღვევის კონკრეტული ობიექტის, რისკებისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით.
5.3. პოლისი ძალაში შედის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდისას. პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.
5.4. განვადებით ანგარიშსწორების შემთხვევაში, დამზღვევის მიერ მორიგი შესატანის (პრემიის) გადაუხდელობისას, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით განუსაზღვროს პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთ თვეში ცალმხრივად, შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება. ამასთან, თუ დამატებით 2 კვირიანი ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან;
5.5. ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიისა).

6. დაზღვევის მოქმედების ვადები. ხელშეკრულების/დაზღვევის შეწყვეტა

6.1. დაზღვევის ვადა აღინიშნება პოლისში. დაზღვევა იწყება პოლისში აღნიშნული დაზღვევის ვადის პირველი დღის 24 საათიდან და სრულდება პოლისში განსაზღვრული მოქმედების ვადის ბოლო დღის 24 საათზე.
6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს, ასევე:
ა) მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება ანუ შესაბამისი პასუხისმგებლობის/ანაზღაურების ლიმიტის სრული ამოწურვა, თუ შესაბამისი პრემია სრულად არის გადახდილი;
ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;
გ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6.3. დაზღვევის ხელშეკრულებაზე დამზღვევის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე უარის გაცხადების შემთხვევაში ან დამზღვევის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში ან თუ მზღვეველის მიერ ამ ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებულია დამზღვევის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით, მზღვეველისთვის სადაზღვევო პრემიის გადახდის საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: დამზღვევს უბრუნდება გამოუმუშავებელი პრემიის გადახდილი ნაწილი, მაგრამ დაზღვევის ერთი თვისთვის გადახდილი გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია არ დაექვემდებარება დამზღვევისთვის უკან დაბრუნებას. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, გამომუშავებული სადაზღვევო პრემია დამზღვევის მიერ გადახდას ექვემდებარება

ნებისმიერ შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე მზღვეველს გაცემული აქვს ან უნდა გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო, დამზღვევის მიერ გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება ანაზაურებას ნებისმიერ შემთხვევაში. ნებისმიერი მიზეზით დაზღვევის შეწყვეტისას მზღვეველის მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში დაზღვეულ ქონებასთან მიმართებაში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება, ხოლო სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდისას - გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება დამზღვევის მიერ სრულად დაფარვას. იმ შემთხვევაში, თუ პრემია იხდება განვადებით, და ხელშეკრულება შეწყდა/წყდება ვადაზე ადრე (და ამავდროულად, სადაზღვევო ანაზღაურება არ ყოფილა გაცემული ან არ უნდა გაიცეს), დამზღვევს წარმოეშობა გამომუშავებული პრემიის სრულად გადახდის და ასევე, გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის 1 თვის ოდენობით გადახდის ვალდებულება. ამასთან, დმზღვევის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილი დაფიქსირებული უნდა იყოს შეეწყვეტამდე 1 (ერთი) თვით ადრე.

7. დაზღვევა მესამე პირთა სასარგებლოდ

7.1. დამზღვევმა შეიძლება შეიძინოს დაზღვევის პოლისი მესამე პირის სასარგებლოდ, მაგრამ ამისათვის საჭიროა დაამტკიცოს მისი ინტერესის არსებობა დაზღვეულ ქონებაში;

7.2. დამზღვევმა შეიძლება შეცვალოს პოლისში მითითებული მოსარგებლე სხვა პირით, რის შესახებაც მზღვეველს უნდა ეცნობოს წერილობით;

7.3. დაზღვევის პოლისის გაფორმება მოსარგებლის სახელზე არ ათავისუფლებს დამზღვევს პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან.

7.4. მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნისას, მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარგებლისაგან დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, დამზღვევზე დაკისრებული იმ მოვალეობების ჩათვლით, რომელიც დამზღვევმა არ შეასრულა მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნისას;

8. ფორს – მაჟორული გარემოება

8.1. ფორს-მაჟორის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე პირობების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შესრულებისაგან და შესაბამისად აქედან გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია აღნიშნული გარემოების დადგომის შედეგად.

8.2. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შეტყობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი, შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დადასტურდეს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით.

8.3. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ან მის გამო დაზღვევის აღსრულების დაყოვნებამ მხარ(ეებ)ის ინტერესის დაკარგვა გამოიწვია, მაშინ მხარეები თანხმდებიან დაზღვევის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

9. დავა და ზიანის ანაზღაურება

9.1. დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მზღვეველს თავისი ქმედებით - ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი (მიუღებელი სარგებელის ჩათვლით) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმლებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. კონფიდენციალურობა

10.1. მხარეთა მიერ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გაცნობა მესამე პირთათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ასევე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულებისათვის და ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული ნებისმიერი კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთა ხელყოფისა და გაცნობისაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა;

10.2. მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის და/ან მოქმედების ვადის დასრულების შემდგომაც;

10.3. წინამდებარე პირობების 10.1. და 10.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო სადაზღვევო თანხის 10 (ათი) %-ის ოდენობით;

10.4. გარდა 10.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდისა, წინამდებარე პირობების 10.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით .

11. კომუნიკაცია მხარეებს შორის

11.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო მობილური ოპერატორების სმს (მოკლე ტექსტური შეტყობინების) შეტყობინების ფორმითაც:

11.1.1. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის ან შესაბამისი სატელეკომუნიკაციო პროვაიდერის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად;

11.1.2. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში მხარის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო საბანკო დღეს;

11.1.3. ფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში მეორე მხარის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან;

11.1.4. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, თავს აარიდებს მის მიღებას ან მზღვეველს მიაწოდებს არასრულ/არასწორ მისამართს/საკონტაქტო ინფორმაციას.

11.2. წინამდებარე პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, შეტყობინება, შენიშვნა ან პრეტენზია გაიგზავნება სატელეფონო მობილური ოპერატორების სმს (მოკლე ტექსტური შეტყობინების) შეტყობინების გზით ან ელ.ფოსტის მეშვეობით დამზღვევის განაცხადში/პოლისში მითითებულ მობილურის ნომერზე ან ელ.ფოსტის, რაზეც დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას.

11.3. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მზღვეველს პოლისში (განაცხადში) მითითებულ მისამართებში (ადგილსამყოფელი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა) ცვლილებების შესახებ. ამასთან აუცილებელია, ახალი რეკვიზიტების სრული და ზუსტი მითითება. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში, დამზღვევის ვერ მიუთითებს შეტყობინების მიუღებლობის მიზეზად მისამართების შეცვლის ფაქტზე და მას შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა შედეგით.

12. დამზღვევის განცხადებები და გარანტიები

12.1. დაზღვევის ხელშეკრულების ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ:

12.1.1. დაზღვევის ხელშეკრულება მის მიერ დადებულია გონივრული განსჯის შედეგად;

12.1.2. მას მზღვეველისგან მიღებული აქვს ყველა აუცილებელი ინფორმაცია და განმარტება ამ ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით;

12.1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს მისთვის ბუნდოვან პირობებს ან უჩვეულო ვალდებულებებს და/ან ჩანაწერს;

12.1.4. მას აქვს სრული უფლებამოსილება ამ ხელშეკრულების დასადებად და აღსასრულებლად;

12.1.5. იგი წარმოადგენს სრული მოცულობით ქმედუნარიან პირს;

12.1.6. მისი პირადი და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია (მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია), რომელსაც იგი მიაწვდის მზღვეველს და რომელიც აუცილებელია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესასრულებლად, მზღვეველმა დაამუშაოს და გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია საკუთარი შეხედულებისამებრ;

12.1.7. იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულება იდება მესამე პირთა (დაზღვეულთა) სასარგებლოდ, მას მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი თანხმობა ასეთი მესამე პირ/ებ/ისაგან: (ა) ხელშეკრულების დადებასა და მის/მათ სასარგებლოდ დაზღვევის განხორციელებაზე; (ბ) იმის თაობაზე, რომ მზღვეველი სრულად და შეუზღუდავად ისარგებლებს დაზღვევის ხელშეკრულებით მინიჭებული ნებისმიერი უფლებამოსილებით;

12.1.8. იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულება იდება მესამე პირთა სასარგებლოდ, დამზღვევი ვალდებულია ზედმიწევნით სრულყოფილად აუხსნას და განუმარტოს მას/მათ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობა და ასევე, ყველა იმ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რომელიც შესაძლოა, დაეკისროთ მათგან გამომდინარე.

12.2. დამზღვევს გაცნობიერებული აქვს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება ზემოაღნიშნულ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეების მიერ;

13.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი მუხლის/პუნქტის გარეშეც.

13.3. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.4. მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (მის: თბილისი, ლევან მიქელაძის 3).